სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების

ფაკულტეტის დებულება

ბათუმი 2013

თავიI

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება ადგენს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის (შემდგომში-ფაკულტეტი) სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს, აწესრიგებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. **(23.05.2018,№05-01/03)**

2. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზ-ღვრება ფაკულტეტის დებულებით. დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის.

მუხლი 2. ფაკულტეტის სტატუსი და უფლებამოსილება

1. ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სტუქტურული ერთეული. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

2. ფაკულტეტი იქმნება უნივერსიტეტის წესდებით.

3. ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის, წინამდებარე დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. **(23.05.2018,№05-01/03)**

4. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი ფაკულტეტის სახელწოდებით, აგრეთვე შესაბამისი ბლანკები და შტამპი.

5. ფაკულტეტს სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და პირების წინაშე წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

თავი II

ფაკულტეტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 3. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში უმაღლესი სახელოვნებო შემოქმედებითი განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება.

2. შემოქმედებით კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების - მაგისტრების მომზადება.

3. შემოქმედებით პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების, ბაკალავრების და მაგისტრების მომზადება.

4. ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხისმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან.
(23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 4. ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. კულტურისა და ხელოვნების შესაბამის დარგებში:
   ა) საბაკალავრო და სამაგისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
   ბ) პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელება.
   (23.05.2018,№05-01/03)
2. **(ამოღებულია-23.05.2018,№ 05-01/03)**
3. სხვა სახის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობა.

თავი III

ფაკულტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები და თანამდებობის პირები

მუხლი 5. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მართვის სუბიექტებია):
ა) ფაკულტეტის საბჭო;
ბ) ფაკულტეტის დეკანი;
გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტი შედგება, აგრეთვე შემდეგი სასწავლო-შემოქმედებითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: **(23.05.2018,№05-01/03)**
ა) სასცენო ხელოვნების დეპარტამენტი;
ბ) კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტი;
გ) სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი;
დ) **(ამოღებულია-31.10.2018,№05-01/02)**

3. ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სხავადასხვა კომისიები და სამუშაო ჯგუფები ცალკეულ საკითხთა შესწავლის ან გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2.ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა, არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები. **(23.05.2018,№05-01/03)**

3. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე გადაწყვეტილებას საფაკულტეტო მნიშვნელობის ახალი ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. საფაკულტეტო მნიშვნელობის ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო იკრიბება სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ფაკულტეტის საბჭოში წარმომადგენელთა არჩევის დღიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3.სხდომებს თავმჯდომარეობს და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

4. ფაკულტეტის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. **(23.05.2018,№05-01/03)**

5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ადგენს საბჭოს სხდომის მდივანი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო თავისი შემადგენლობიდან.

6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მიღებულ საოქმო გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს თავჯდომარე და საბჭოს მდივანი.

7. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს; **(23.05.2018,№05-01/03)**

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს; **(23.05.2018,№05-01/03)**

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და შემოქმედებით პროგრამებს; **(23.05.2018,№05-01/03)**

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს; **(23.05.2018,№05-01/03)**

ვ) ქმნის ფაკულტეტის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს;

ვ)[1] უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას; **(23.05.2018,№05-01/03)**

ვ)[2] დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს; **(23.05.2018,№05-01/03)**

ზ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა სხვა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

(23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანი

1. დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი და წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე.

2. ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. (23.05.2018,№05-01/03)

3. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება არჩეულ იქნეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. (23.05.2018,№05-01/03)

4. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას; (23.05.2018,№05-01/03)

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და შემოქმედებით პროგრამებს;

(23.05.2018,№05-01/03)

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულ-ტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ)[1] პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის; (23.05.2018,№05-01/03)

ვ)[2] ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით ადგენს სასწავლო პროცესის ჩატარების გრაფიკს და აკონტროლებს მის დაცვას; (23.05.2018,№05-01/03)

ზ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

თ) (ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)

5. (ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით, ოთხი წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. (23.05.2018,№05-01/03)

2. (ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)

3. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია CV-სა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. (23.05.2018,№05-01/03)

4. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერც

ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებული დეკანის გამოვლენამდე. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

მუხლი 10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის სასწავლო და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი განვითარებისათვის შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

(23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით;

ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების განხორციელებას;

გ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

დ) მონაწილეობს სწავლების ახალი პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებაში, კრედიტ სატრანსფერო სისტემის სწორი გამოყენების კონტროლში, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფაში (სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზება.);

ე) მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების ძირითადი მეთოდების, ასევე შემოქმედებითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებაში ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შერულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

(23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ა) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად;

ბ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;

გ) უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

დ) ახორციელებს ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომებისა და დიპლომის დანართის შევსების პროცესის მონიტორინგს;

ე) ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის ფაკულტეტზე განსახორციელებელ ღონისძიებებს;

ვ) აფასებს სტუდენტების ჩართულობას აკადემიურ და შემოქმედებით საქმიანობაში;

ზ) უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას;

თ) წარმოადგენს ფაკულტეტის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან;

ი) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

4. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერას. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორი პრეტენდეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოვლენამდე. თუ არჩევნების მეორე ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

(23.05.2018,№05-01/03)

IVთავი

ფაკულტეტის სასწავლო და

შემოქმედებითი სტრუქტურული

ერთეულები (23.05.2018,№05-01/03)

მუხლი13. დეპარტამენტი

1. დეპარტამენტი არის ძირითადი სასწავლო და შემოქმედებითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს ერთ ან რამოდენიმე მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამაში დასაქმებულ აკადემიურ და დამხმარე პერსონალს. **(23.05.2018,№05-01/03)**

2. დეპარტამენტი ახორციელებს სასწავლო, მეთოდურ, შემოქმედებით და პრაქტიკულ მუშაობას და უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტუდენტების მომზადებას. **(23.05.2018,№05-01/03)**

3. ფაკულტეტის სასწავლო-აკადემიური სტრუქტურული ერთეულებია:
ა)სასცენო ხელოვნების დეპარტამენტი;
ბ)კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტი;
გ) სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი.

4. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურას შეარჩევს ღია ან ფარული კენჭისყრით და გადაწყვეტილებას წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეკანის მიერ დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატურის 1 თვის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში რექტორი უფლებამოსილია თავად დანიშნოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება 4 წლის ვადით.**(23.05.2018,№05-01/03; 22.01.2020,№05-01/01)**

5. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტში შემავალი პროგრამული მიმართულებების სასწავლო და შემოქმედებით საქმიანობას, ახორცილებს სტუდენტთა სწრებადობის აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალებისა და შეფასების უწყისების დადგენილი წესით წარმოების კონტროლს;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს სწავლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისა (კურიკულუმების) და სილაბუსების შემუშავებასა და განხორციელებას;

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესწავლის მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამყარებს საქმიან კავშირებს შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან;

დ) უზრუნველყოფს სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სათანადო დონეზე წარმართვას;

ე) ზრუნავს დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;

ვ) ხელმძღვანელობს შემოქმედებითი მუშაობის გეგმის, შემოქმედებითი პროექტების შედგენასა და განხორციელებას;

ზ) ორგანიზებას უწევს სტუდენტთა სასწავლო შემოქმედებით პროექტებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას;

თ) დეპარტამენტის წევრებთან ერთად განსაზღვრავს შემოქმედებითი საქმიანობის, პრიორიტეტებს;

ი) ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს წინადადებებს პერსონალის აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ და უზრუნველყოფს კონტროლს მათ შესრულებაზე;

კ) ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს წინადადებებს მასწავლებელთა და სპეციალისტთა მოწვევის შესახებ;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის;

მ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს მიმართულების მიხედვით;
ნ) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა მობილობის დასკვნების მომზადებას და წარდგენას დეკანატში;
ო) ახორციელებს საკურსო და სადიპლომო ნაშრომების მომზადებისა და შესრულების მონიტორინგს;
პ) ახორციელებს რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებებს. **(23.05.2018,№05-01/03)**

6.დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე და ყოველი სემესტრის ბოლოს წარუდგენს მათ საქმიანობის ანგარიშს.

7. თავის უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით დეპარტამენტი გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე. სხდომას თავჯდომარეობს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის სხდომის მუშაობა აისახება ოქმში, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია დეპარტამენტის სპეციალისტი.

8.დეპარტამენტის სპეციალისტს დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით და დეკანი სწარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

9. დეპარტამენტის სპეციალისტი პასუხისმგებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინაშე.

10. დეპარტამენტის სპეციალისტი:
ა) ახორციელებს დეპარტამენტში შემავალი პროგრამული მიმართულებების სასწავლო და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას, სტუდენტთა სწრებადობის აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალებისა და შეფასების უწყისების დადგენილი წესით წარმოებას და პასუხისმგებელია მათ შენახვაზე;
ბ) დეპარტამენტის ხელმძღვანელის მითითებით მუშაობს დეპარტამენტის სხდომის დღის წესრიგის მომზადებაზე, სხდომის მოწვევასა და ჩატარებაზე, პასუხისმგებელია დეპარტამენტის სხდომის ოქმის წარმოებაზე;
გ)ხელმოსაწერად ამზადებს დეპარტამენტის პერსონალის დატვირთვებს (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო), სხდომის ოქმის ამონაწერებს, მონაწილეობს ცნობების, სტუდენტთა დახასიათებების, წერილებისა და სხვა საქმიანი კორესპონდენციების მომზადებაში;
დ) უზრუნველყოფს მიმართულების პერსონალისა და სტუდენტთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებას;
ე) ადგენს დიპლომის დანართს, რომლის სისწორეზე ასევე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი;
ვ) ადგენს სასწავლო ცხრილებს, მონაწილეობს სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო ცხრილების შედგენაში;
ზ) გასაფორმებლად ამზადებს დეპარტამენტის ღონისძიებათა გეგმას;
თ) ზედამხედველობას უწევს მიმართულების მიხედვით პროფესორ-მასწავლებელთა გამოცხადებას, სტუდენტთა გამოცხადებას და ინფორმაციას წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანს;
ი) მონაწილეობს დეპარტამენტის ღონისძიებების მომზადებაში, კოორდინაციას უწევს მათ მაღალ დონეზე ჩატარებას, პროექტების მომზადებასა და განხორციელებას. ჩატარებულ ღონისძიებებზე ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სამსახურებს;
კ) მონაწილეობს სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის წარმართვაში, აკონტროლებს სწავლის საფასურის გადახდის მიმდინარეობას;
ლ) ადგენს გამოცდების ცხრილებს;

მ) მონაწილეობს პროგრამის ტექნიკურ მომზადებაში;
ნ) ახორციელებს ტექნიკურ მხარდაჭერას სტუდენტთა კონფერენციებში, საშემსრულებლო-შემოქმედებით აქტივობებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის პროცესში;
ო) ახორციელებს რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისდეპარტამენტის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის ცალკეულ დავალებებს. **(23.05.2018,№05-01/03)**

მუხლი14. (ამოღებულია-31.10.2018,№05-01/02)

თავი IV

ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 15. ფაკულტეტის პერსონალი

1. ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობებისაგან.
2. ფაკულტეტის პერსონალის უფლებები და ვალდებულებები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.
3. ფაკულტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას უნივერსიტეტს წარმოადგენს რექტორი, ხოლო დამხმარე პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმებისას-ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. **(23.05.2018,№05-01/03)**

მუხლი 16. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტებისაგან. **(23.05.2018,№05-01/03)**
2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო და შემოქმედებით პროცესებში ან/და წარმართავენ მათ. **(23.05.2018,№05-01/03)**
3. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. **(23.05.2018,№05- 01/03)**
4. ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესით განსაზღვრული ვადით. **(23.05.2018,№05-01/03)**
5. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის უფლებები და ვალდებულებები, შრომითი ურთიერთობები, სამსახურში მიღების და სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 17. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1.აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღიაკონკურსის წესით,რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და

სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საშემსრულებლო სპეციალობებისათვის ღია კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობებია:

ა) პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის

აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 8 წლისგამოცდილება.

„ა[1]) პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისა და შემოქმედებითი წარმატების მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო ან/და პედაგოგიური და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 8 წლისგამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელსაც კონკურსამდე დაკავებული ჰქონდა პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა და აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური ან/და სახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

„ბ[1]) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხისა და შემოქმედებითი წარმატების მქონე პირი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური ან/დასახელოვნებო (შემოქმედებითი) მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელიც ეწევა პედაგოგიურ ან/და აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას და აქვს პროფესიული წარმატებები;

დ) ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მაგისტრანტი,რომელიც ეწევა პედაგოგიურ ან/და აქტიურ საშემსრულებლო მოღვაწეობას. **(23.05.2018,№05-01/03)**

მუხლი 18. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. **(ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)**

3. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის უფლებები და ვალდებულებები, შრომითი ურთიერთობები, სამსახურში მიღების და სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ამ დებულებით. **(23.05.2018,№05-01/03)**

4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება: მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. **(23.05.2018,№05-01/03)**

5. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

6. საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და შემოქმედებით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმათვის მიზნით. **(23.05.2018,№05-01/03)**

7. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი პირები.

მუხლი19. ფაკულტეტის მდივანი

1. ფაკულტეტის მდივანი წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ დამხმარე თანამდებობას, რომელიც ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს.

2. ფაკულტეტის მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3.ფაკულტეტის მდივნის მოვალეობაა:

ა) სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია;

ბ) სტუდენტთა პირადი საქმის შექმნა (აკინძვა); **(23.05.2018,№05-01/03)**

გ) სტუდენტთა სასწავლო ბარათების მომზადება; **(23.05.2018,№05-01/03)**

დ) სტუდენტებთან ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება;

ე) შესაბამისი სტრუქტურებისათვის ცხრილების, სიების, უწყისებისა და სტუდენტთა მობილობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ვ) სტუდენტებისათვის ცნობებისა და ინფორმაციის გაცემა;

ზ) საგამოცდო უწყისების მიღება-დამუშავება/გაცემა; **(23.05.2018,№05-01/03)**

თ) აკადემიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავება;

თ[1]) კონტროლი სტუდენტის აკადემიური და ფინანსური დავალიანების აღრიცხვაზე; **(23.05.2018,№05-01/03)**

თ[2]) კონტროლი სტატუსშეჩერებული სტუდენტების გამოცდებზე დაშვებაზე; **(23.05.2018,№05-01/03)**

ი) კურსდამთავრებულთა პირადი საქმის აკინძვა და არქივში ჩაბარება;

კ) დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა დიპლომისა და დიპლომის დანართის შესავსებად საჭირო მონაცემების გადამოწმება; **(23.05.2018,№05-01/03)**

მ) სხვა საქმიანობის განხორციელება სასწავლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე.

4. ფაკულტეტის მდივანი აწარმოებს ან/და მასთან ინახება:

ა) სტუდენტთა პირადი საქმეები;

ბ) ფაკულტეტის მოხსენებითი ბარათები, დეკანის ბრძანებების პროექტები და ბრძანებები;

გ) რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური და წარმომადგენ-ლობითი საბჭოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;

დ) **(ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)**

ე)გასული და შემოსული კორესპოდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;

ვ) **(ამოღებულია-23.05.2018,№ 05-01/03)**

ზ) **(ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)**

თ) შეფასების უწყისები;

ი) ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და სხვა სახის მეცადინეობების ცხრილები;
კ) ლექციების, სემინარების, პრაქტიკული და სხვა სახის მეცადინეობებზე სტუდენტის დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
ლ) სტუდენტებზე ცნობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი;
მ) **(ამოღებულია-23.05.2018,№ 05-01/03)**
ნ) სტუდენტთა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები; **(23.05.2018,№05-01/03)**
ო) **(ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)**

5. ფაკულტეტის მდივანი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

თავი VI
სტუდენტი

მუხლი 20.სტუდენტი

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ფაკულტეტზე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად. **(23.05.2018,№05-01/03)**

2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 20¹. სტუდენტური თვითმმართველობა

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და თავისი დებულების მიხედვით.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არჩევნების ორგანიზება–ჩატარებას განსაზღვრავს თავისი დებულებით.

3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტების უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტების ან უნივერსიტეტის მართვის სისტემების და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ვ) ნიშნავს წევრებს ფაკულტეტზე არსებულ მუდმივ თუ დროებით კომისიებში;

ზ) კოორდინირებულად მუშაობს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებთან;

თ) ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

(23.05.2018,№05-01/03)

მუხლი 21. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა

ფაკულტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება:
ა) ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ითვალისწინებს ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე შემოქმედებითი ტური/ტურების გავლას ფაკულტეტის მიერ დადგენილი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით;
ბ) ფაკულტეტზე მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება შემოქმედებითი ტური/ტურების გავლის შემთხვევაში ფაკულტეტის მიერ დადგენილი და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. **(23.05.2018,№05-01/03)**
გ) **(ამოღებულია-23.05.2018,№05-01/03)**

თავი VII

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. დებულების გაუქმება, მასში ცვლილებისა და/ან დამატების შეტანა

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატების შეტანა ხორციელდება დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. **(23.05.2018,№05-01/03)**